პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 70 (1240) | ხუთშაბათი, 12 ივნისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიფა-ს კონგრესზე

ფეხბურთში VI მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის წინ სტოკჰოლმში შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი კონგრესი.

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება ფიფა-ს ოფიციალური ენების რიცხვში შეტანილ იქნას რუსული ენა და ამიერიდან ფედერაციის ყველა საბუთი გამოიცემა რუსულ ენაზეც.

კონგრესმა 28 ხმის უმრავლესობით ექვსის წინააღმდეგ ფიფა-ს შემადგენლობაში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. სამაგიეროდ ღიად დარჩა საკითხი ფიფა-ს წევრობიდან გომინდანელთა გარიცხვის შესახებ. მათი ფედერაციის წევრობიდან გაყვანის სამართლიან მოთხოვნას მხარი დაუჭირა ოთხმა წევრმა, ხოლო 21 წინააღმდეგი იყო. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს კენჭისყრის არასწორი მეთოდების წინააღმდეგ და დატოვეს კონგრესის სხდომა.

კონგრესმა 37 ხმით 15-ს წინააღმდეგ უარჰყო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წინადადება, ეროვნულ ნაკრებ გუნდებში თამაშის უფლება მიეცეს მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც თვითონ (ან მათი მამები) დაიბადნენ მოცემულ ქვეყანაში. კონგრესმა მიიღო ინგლისელთა სხვა წინადადება, რომელიც კრძალავს ფეხბურთელებთან მოლაპარაკებას სხვა ქვეყნის კლუბში გადასვლის შესახებ, სანამ იგი კონტრაქტით დაკავშირებულია თავის კლუბთან.

ფიფა-ს კონგრესმა ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად ხელახლა აირჩია არტურ დრიური (ინგლისი). შემდგომი კონგრესის ადგილად არჩეულია რომი. კონგრესი ჩატარდება 1960 წლის ზაფხულში, XVII ოლიმპიური თამაშების დროს.

## მინსკის სტენდზე

ამას წინათ მინსკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირველობა სასტენდო სროლაში. ადგილიდან სროლაში პირველ ორ დღეს შეჯიბრებას ლიდერობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი თბილისელი ბ. ანტონოვი, მაგრამ უკანასკნელ დღეს მას გაასწრო ლვოველმა ვ. ზიმენკომ. ანტონოვი გამოვიდა მესამე ადგილზე. მან მესამე ადგილი მოიპოვა აგრეთვე მრგვალ სტენდზე სროლაში, ხოლო დაჰალებით შეხვედრის შემდეგ პირველობა დაუთმო ნ. მოგილევსკის და წყვილ სამიზნეებზე სროლაში მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეყვანილი არიან ბ. ანტონოვი და პ. სარქისოვი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო საუწყებათაშორისო პირადგუნდურ პირველობაში.





სურათებზე: ზევით — მოსკოვში დამთავრდა დედაქალაქის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება. სპორტის ოსტატი ა. პოლიაკოვი 110 მეტრზე თარჯრბენის დისტანციაზე. ქვევით — 1958 წლის საკავშირო სამრეწველო გამოფენაზე დამთვალიერებლები სინჯავენ ახალ სპორტულ მანქანას „ზილ-112", მარჯვნივ—მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო პირადი შეჯიბრება ახალგაზრდა ჩოგბურთელებს შორის. პირველობა მოიპოვა ლენინგრადელმა ა. პოტანინმა (მარცხნივ), რომელმაც ფინალურ ბრძოლებში დამარცხა ბაქოელი ს. ლიხაჩოვი (მარჯვნივ).

ფოტოები ლ. დორენსკისა და ლ. ველიკჟანინისა.



## საუბარი მ. ბოტვინიკთან

ამას წინათ, „ლიტერატურნაია გაზეტას" კორესპონდენტმა მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში მიხეილ ბოტვინიკს მიმართა თხოვნით ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე, რომლებიც აინტერესებთ მის მკითხველებს. მოგვყავს კორესპონდენტის შეკითხვები და მ. ბოტვინიკის პასუხები.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ გგონიათ, რომ თქვენი გამარჯვება შთააგონებს უფროსი თაობის გროსმაისტერებს — კერესს, რეშევსკის და სხვებს, რომ საჭიროა ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის?

პ ა ს უ ხ ი: ვფიქრობ, რომ კერესი, რეშევსკი და სხვები არ საჭიროებენ „შთაგონებას". ისინი ისედაც არიან განწყობილი „ბრძოლისათვის".

შ ე კ ი თ ხ ვ ა: თქვენის აზრით ვინაა ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შორის?

პ ა ს უ ხ ი: ახლა მსოფლიოში ბევრია ახალგაზრდა და ნიჭიერი მოჭადრაკე, მაგრამ ყველაზე ნიჭიერი ჩემის აზრით არიან საბჭოთა გროსმაისტერები მ. ტალი და ბ. სპასკი, ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი 15 წლის რ. ფიშერი, დანიელი გროსმაისტერი ბ. ლარსენი, ისლანდიელი ფ. ოლაფსონი და იუგოსლაველი ა. მატანოვიჩი.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: როგორც ცნობილია მომავალ წელს ჩატარდება პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც ითამაშებს 7-8 უძლიერესი გროსმაისტერი. ვინ იქნება თქვენი შეხედულებით ეს რვა მონაწილე?

პ ა ს უ ხ ი: ადვილი მისახვედრია ორი მონაწილე — ვ. სმისლოვი და პ. კერესი, რადგან მათ მოიპოვეს კანდიდატების ტურნირში მონაწილეობის უფლება. დანარჩენის დასახელება ძალზე ძნელია. ვფიქრობ, რომ საზონათშორისო ტურნირიდან კანდიდატების ტურნირში მოხვდება ორი საბჭოთა გროსმაისტერი, მაგალითად, დ. ბრონშტეინი და მ. ტალი, ან ტ. პეტროსიანი და ი. ავერბახი (რადგან კანდიდატების ტურნირში ერთი ქვეყნიდან დებულების თანახმად შეუძლია ითამაშოს მხოლოდ ოთხმა კაცმა). საზღვარგარეთელ მოჭადრაკეებიდან საუკეთესო შანსები აქვთ ს. რეშევსკის, რ. ფიშერს, ბ. ლარსენს, ს. გლიგორიჩს, ლ. საბოს, ა. მატანოვიჩსა და ფ. ოლაფსონს.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: ყველა იცნობს ამერიკელ მოჭადრაკეს რ. ფაინს, როგორც ძლიერ გროსმაისტერს. მაგრამ რატომ აღარ მონაწილეობს იგი ამერიკისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში?

პ ა ს უ ხ ი: რ. ფაინი მეტად ძლიერი მოჭადრაკეა და დასანანია, რომ მან თავი დაანება თამაშს. რ. ფაინის წიგნები ენდშპილისა და დაწყებათა თეორიის შესახებ დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ამჟამად რ. ფაინი ჭადრაკს სრულებით არ უთმობს ყურადღებას, იგი გართულია ფსიქიატრიით.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: რას იტყვით ჭადრაკის მოთამაშე მანქანის შესახებ?

პ ა ს უ ხ ი: მე ენერგეტიკოსი ვარ და კიბერნეტიკაში ზერელედ ვერკვევი. მაგრამ მგონია, რომ მომავალში მანქანამ უნდა აჯობოს გროსმაისტერს. მაშინ, ალბათ, მოეწყობა მსოფლიოს ორი პირველობა: ერთი — გროსმაისტერებს შორის, მეორე — მანქანებს შორის.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: სად მუშაობთ ახლა თქვენ და რა სამუშაოს ასრულებთ?

პ ა ს უ ხ ი: ვმუშაობ სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ელექტროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ცვალებადი დენის აგზნებადობის რეგულირების დარგში.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: მიმდინარე წელს, რომელ საჭადრაკო შეჯიბრებებში აპირებთ მონაწილეობას?

პ ა ს უ ხ ი: უახლოეს დროში—მოსკოვის სპორტსაზოგადოება „ტრუდის" გუნდურ პირველობაში, რომელიც უკვე მიმდინარეობს და სადაც მონაწილეობს ელექტროენერგეტიკის ინსტიტუტის გუნდიც. ოქტომბერში ვითამაშებ საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს ოლიმპიადაზე მიუნჰენში.

# VI, [illegible], 1958 წ.

## სსრ კავშირი 2:0 ავსტრია

### ლ. იაშინი იღებს 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმას

გუშინ, 11 ივნისს, შვეციის ქალაქებში შედგა მორიგი მატჩები მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, გემებს, თვითმფრინავებს შვეციაში ჩამოჰყავს ფეხბურთის მოყვარულთა სულ ახალ-ახალი „დესანტები", რომელთა ძირითადი მიზანი ერთია — თავიანთი ენთუზიაზმით გაამხნევონ გუნდები და ხელი შეუწყონ მათს წარმატებას.

კვლავ ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის გამოსვლა მეოთხე, ყველაზე ძნელ ჯგუფში. საბჭოთა ფეხბურთელები ამ დღეს თამაშობდნენ ავსტრიის გუნდთან.

ზედმეტია ლაპარაკი ამ მატჩის მნიშვნელობაზე. ავსტრიელები თავიანთი პირველი დამარცხების შემდეგ მაქსიმალური ძალით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, ხოლო სსრ კავშირის გუნდს მეოთხედფინალში გასვლისათვის აუცილებლად ჭირდებოდა 2 ქულის აღება.

საბჭოთა კავშირის ნაკრები თამაშზე გამოვიდა იგივე შემადგენლობით, როგორც ინგლისთან: იაშინი, კესარევი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ვოინოვი, ცარევი, ა. ივანოვი, ვ. ივანოვი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი.

მატჩი თავიდანვე მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში. ავსტრიელი ფეხბურთელები თავგამოდებით იბრძოდნენ ბრაზილიასთან თავიანთი პირველი დამარცხების შემდეგ.

პირველი ტაიმის მე-15 წუთზე, საბჭოთა კავშირის გუნდის ერთ-ერთი შეტევისას, რომელიც დაიწყო მარჯვენა ფრთაზე, ხელსაყრელ მომენტში აღმოჩნდა ა. ილინი, რომელმაც გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ, მე-11 წუთზე სსრ კავშირის ნაკრების კარში დაინიშნა პენალტი. მეკარე ლევ იაშინმა ბრწყინვალე ნახტომით აიღო ავსტრიელთა უძლიერესი ფორვარდის ბუზეკის მიერ დარტყმული ბურთი, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ვ. ივანოვმა შორი მანძილიდან ბრწყინვალე დარტყმით გაიტანა მეორე გოლი. მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

• • •

### დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია:

ჩეხოსლოვაკია — გფრ — 2:2

არგენტინა — ჩრდ. ირლანდია — 3:1

პარაგვაი — შოტლანდია — 3:2

საფრანგეთი — იუგოსლავია — 3:2

მექსიკა — უელსი — 1:1

ბრაზილია — ინგლისი — 0:0



ამას წინათ ფოთში დამთავრდა საქართველოს პირველობა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში

◆

**სურათებზე**: მარცხნივ — 8-კილომეტრიან მარულაში გამარჯვებული ფოთელი მხედარი ზ. ტოტიკოვი, მარჯვნივ ზევით — ფოთის გუნდი, რომელმაც საერთო პირველი ადგილი დაიკავა.

ქვევით — ჩოხატაურის ცხენბურთელთა გუნდი, რომელმაც გათამაშებაში პირველი ადგილი მოიპოვა.

ფოტო რ. ლვამიჩავასი.

◆





# აკრობატიკას მეტი გაფრთხილება

თბილისში, „განთიადის" სპორტულ დარბაზში, 2 დღეს მიმდინარეობდა საქალაქო შეჯიბრება ნორჩ აკრობატთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 58 სპორტსმენი, რომლებმაც საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს, მაგრამ ლენინისა და ოქტომბრის სახ. რაიონების სპორტსკოლებიდან გუნდები არ იქნენ გამოყვანილი, თუმცა მწვრთნელებს ა. ბაღდასაროვსა და ო. კაკიაშვილს შეეძლოთ მესამე თანრიგში მაინც გამოეყვანათ თავიანთი აღსაზრდელები. კალინინის სახ. რაიონის სპორტსკოლის გუნდში (მწვრთნელი საფაროვი) გამოვიდნენ კარგად მომზადებული გოგონები. დანარჩენ რაიონებში ჯგუფები აკრობატიკაში არ არის და არც ეტყობა, რომ ვინმე იყოს დაინტერესებული მათი შექმნით.

განვლილ შეჯიბრებაში მესამე თანრიგის პროგრამით ჭაბუკთა შორის ხტომებში ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა ვ. პაპიაშვილს (განათლების განყოფილება), რომელმაც 33,3 ქულა მიიღო 40 შესაძლებლიდან. მეორე თანრიგში გაიმარჯვა აივაზიანმა — 33,8 ქულა (განათლ. განყ.). გოგონათა შორის მეორე თანრიგში დაწინაურდა ფაფახჩიშვილი („განთიადი") — 33,0 ქულა.

გოგონათა წყვილებს შორის I თანრიგში წინ იყვნენ განთიადელები ნ. ლივარდი და ლ. ჭოჭუა (36,9 და 36,45 ქულა შესაბამისად). მეორე თანრიგში გაიმარჯვეს დ. ბეციაშვილმა და ნ. ნასყიდაშვილმა.

ჭაბუკ წყვილთა შორის პირველი ადგილები დაიკავეს ჯულუხაძემ და მარტიროსოვმა (განათლების განყოფილება) — 67,5 ქულა. უფროსი ასაკის თანრიგში გაიმარჯვეს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა აგაჯანოვმა და გოლეგოვმა. ჯგუფურ ვარჯიშებში თავი გამოიჩინეს განათლების განყოფილებისა და „შრომითი რეზერვების" აკრობატებმა.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაავალა ქალაქის რაიონების სპორტსკოლათა ხელმძღვანელობას აკრობატიკაში ჯგუფების შექმნის შესახებ, მაგრამ ეს მეტად სასარგებლო ბრძანება ყველგან არ სრულდება როგორც საჭიროა. ანალოგიური მდგომარეობაა სპორტსაზოგადოებებსა და რესპუბლიკის რაიონებში, სადაც სპორტის ამ სახეობას ერთობ მცირე ყურადღებას უთმობენ.

საქართველოს გუნდი საკავშირო შეჯიბრებებზე ვერ გამოდის სასახელო მაჩვენებლებით, რაც იმის შედეგია, რომ მუშაობა აკრობატთა კადრებთან წარმოებს არასისტემატურად, დაბალ სასწავლო-საწვრთნელ დონეზე.

პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია აკრობატიკაც. საქართველოს გუნდი ახლავე უნდა დაკომპლექტდეს და შეუდგეს მზადებას, რათა ამ დიდ შეჯიბრებაში დავიკავოთ შესაფერისი ადგილი. საამისოდ საჭიროა გამოიყოს დრო „განთიადის" სპორტდარბაზში, მომარაგდეს გუნდი საჭირო ინვენტარით და წვრთნას მიეცეს რეგულარული, გეგმაზომიერი ხასიათი.

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა კატეგორიულად აუკრძალა აკრობატ სპორტსმენებს ცირკში და ესტრადაზე გამოსვლა, მაგრამ ზოგიერთები ყურადღებას არ აქცევენ ამ ბრძანებას, მეცადინეობენ სექციებში და „მალულად" გამოდიან ესტრადაზე. მაგალითად, ი. ცირეკიძემ სულ ახლახან მიიღო ოსტატის წოდება, აიყოლია მოსწავლე ნ. მიქავა და ორივენი გამოდიან ესტრადაზე. ცირკში გადაინაცვლეს ძმებმა ვ. და ჰ. ნატროშვილებმაც.

ჩვენს რესპუბლიკას ოდესღაც ჩინებული აკრობატები ჰყავდა. ახლა სპორტის ამ სახეობაში მომეცადინეთა რიცხვი თითებზეა ჩამოსათვლელი და ამის გამოა, რომ რეზერვების მდგომარეობა მეტად ცუდია.

ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ აკრობატიკის კულტივირებას, მის ფართოდ დანერგვას ახალგაზრდებს შორის.

**ბ. ქელეხსაშვილი,**
აკრობატიკის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.

# პირველ ეტაპზე

ამ დღეებში სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ბაზებზე ჩატარდა სპარტაკიადა. შეჯიბრების წარმატებით ჩატარებისათვის წინასწარ შექმნილმა მსაჯთა კოლეგიამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კომკავშირის, ფიზკულტურისა და დოსაafის საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები, შეიმუშავეს სპეციალური ღონისძიება. ახალგაზრდებმა საკუთარი ძალებით შეაკეთეს ტირი და მოედანი ყუმბარის ტყორცნისათვის.

დადგა შეჯიბრებათა ჩატარების დღეც. ქარხნის ტირში დაიწყო სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 300-მდე სპორტსმენი. გამარჯვება წილად ხვდა შემკეთებელი საამქროს შემდუღებელს ე. ოვანესიანს, რომელმაც 50 მეტრზე წოლელა სროლაში 5 გასროლით 48 ქულა მოაგროვა. მექანიკური საამქროს ხარატი გ. თურქაშვილი გამოვიდა მეორე ადგილზე. ქალთა შორის ყველაზე მეტი — 47 ქულა მოაგროვა ინჟინერმა ზ. შუტკოვამ. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს საქვაბე საამქროს სპორტსმენებმა. ამ შეჯიბრებაზე 32-მა მონაწილემ შეასრულა მესამე თანრიგის ნორმატივი, ხოლო 141-მა მოიპოვა „დოსაafის მსროლელის" I და II საფეხურის ნიშნები.

თბილისის ზღვის მიდამოებში ჩატარდა შეჯიბრება ყუმბარის ტყორცნასა (ყველასათვის) და სამ კილომეტრზე ლაშქრობაში (ამორჩევით). მონაწილენი სამ ჯგუფად გაიყვნენ და ცალცალკე შეუდგნენ შეჯიბრებას აღნიშნულ სახეობებში, რომელთა დამთავრების შემდეგ იცვლიდნენ ადგილებს. ყუმბარის მტყორცნელთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა ვ. სპიცინი — 69 მ, ს. გომიზაშვილმა წააგო 2 მეტრით, ხოლო მექვაბე ზ. ჯეირანოვმა აჩვენა 66 მ. სამივე ეს შედეგი აღემატება მეორე თანრიგის ნორმატივს.

სამ კილომეტრიან დისტანციაზე კი ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ბ. ლომიძე, რომელმაც აღნიშნული მანძილი 19 წუთში დაფარა.

სპარტაკიადაში საერთო პირველი ადგილი დაიკავეს ორთქლმავალამწყობი საამქროს ფიზკულტურელებმა.

**ო. გოგლიძე**

# სპარტაკიადების ტალღა

## კორესპონდენტები გვატყობინებენ

# თბილისიდან, ადიგენიდან...

ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა დედაქალაქის სკოლების სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო 16 სახეობა. სტარტზე გამოვიდა 100 კოლექტივის 6000-მდე მოსწავლე. ყველა სკოლას ევალებოდა წინა წლებისაგან განსხვავებით ამ სპარტაკიადაში გამოეყვანა გუნდები სპორტის ყველა სახეობაში. ჩათვლაში შედიოდა მხოლოდ ჭაბუკთა თანრიგის შედეგი. გათამაშების პროგრამაში წელს პირველად იყო შეტანილი მაგიდის ჩოგბურთი. მიუხედავად ამისა, მასში მონაწილეობა მიიღო 300-მა სპორტსმენმა. გოგონათა შორის გაიმარჯვა დ. ხანიანმა (92-ე სკოლა). ვაჟთა შორის — გ. იზაშვილმა (პირველი სკოლა). გუნდურ ჩათვლაში პირველები იყვნენ 44-ე სკოლის ფიზკულტურელები.

მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი კალათბურთელთა შეჯიბრებაზე. აქ გამარჯვებისათვის იბრძოდა ვაჟთა 70 და გოგონათა 37 გუნდი. გოგონებში უძლიერესი აღმოჩნდა 67-ე სკოლის კოლექტივი, ხოლო ვაჟებში გაიმარჯვა 53-ე სკოლამ. ფრენბურთელთა ასპარეზობაში ვაჟთა 78 გუნდს შორის პირველი ადგილი დაიკავა 41-ე სკოლის გუნდმა, ხოლო გოგონებში გამარჯვებული გამოვიდა მე-20 სკოლა.

ტანვარჯიშში მონაწილეობდა 900 მოსწავლე. აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ: გოგონათა შორის — მ. ნინოშვილი (29-ე სკოლა) ვაჟთა შორის — კ. ხოდიკიანი (96-ე სკოლა), გუნდური პირველობა წილად ხვდათ 22-ე სკოლის ფიზკულტურელებს. მხატვრულ ტანვარჯიშში შეხვედრები გაიმართა I, II და III თანრიგოსანთა შორის. აქ შესაბამისად პირველები იყვნენ გ. ზალკინდი (37-ე სკოლა), ს. ოვანესოვა (44-ე სკოლა) და ე. ნაცვლიშვილი (56-ე სკოლა). გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნათ 37-ე სკოლის ტანმოვარჯიშეებს.

სპორტის სხვა სახეობებში გამარჯვებულები გამოვიდნენ: ჩოგბურთში — 32-ე სკოლა, აკრობატიკაში —55-ე სკოლა, ფარიკაობაში — 53-ე სკოლა, ველოსპორტში — პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს 22-ე და 33-ე სკოლებმა, სროლაში — 78-ე სკოლა, მძლეოსნობაში — 43-ე სკოლა, წყალში ხტომაში — 13-ე სკოლა, თავისუფალ ჭიდაობაში — მე-10 სკოლა, ცურვაში — მე-19 სკოლა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სკოლებს შორის გამარჯვებული გამოვიდა 78-ე საშუალო სკოლის კოლექტივი. დედაქალაქის რაიონებს შორის პირველობა მიეკუთვნა ოქტომბრის სახელობის რაიონს. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ორჯონიკიძისა და სტალინის სახელობის რაიონებს.

**ი. ხაბეიშვილი**

• • •

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა IX სპარტაკიადა. შეჯიბრებები ჩატარდა რვა სახეობაში, რომელთაგან ველოსპორტსა და ცურვაში მხოლოდ პირადი პირველობა გათამაშდა.

ვინაიდან რაიონებიდან ჩამოსული გუნდების უმრავლესობა სუსტად იყვნენ მომზადებულები, პირველობის ძირითადი პრეტენდენტები თბილისის სკოლები აღმოჩნდნენ. ერთადერთი სახეობა, სადაც დედაქალაქის სპორტსმენებმა ვერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება, იყო ნიჩბოსნობა. აქ უძლიერესი აღმოჩნდა ფოთის 28-ე სკოლის გუნდი. საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის მე-3 სკოლის კოლექტივმა, რომელიც უძლიერესი იყო აგრეთვე მძლეოსნობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოცურავეთა და მსროლელთა შედეგები. თბილისის მესამე სკოლელმა ბ. ლეჟავამ 100 მეტრზე ზურგზე და თავისუფალი სტილით ცურვაში, მე-6 სკოლელმა გ. ხუროშვილმა (ამავე დისტანციაზე) და მე-5 სკოლის მოსწავლემ ა. ალექსეევმა თავისუფალი სტილით 100 მეტრზე, აჩვენეს მეორე თანრიგის შედეგი, ხოლო ა. ჯაბიშვილმა (პირველი სკოლა), სროლაში შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი.

დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით გამოვიდნენ 100 მეტრზე რბენაში თბილისის მე-6 სკოლის მოსწავლე დ. ქარკოვი და ხაშურის მე-14 სკოლის მოსწავლე მ. მინასიანი, რომლებმაც შესაბამისად აჩვენეს 11,7 და 11,8 წამი. სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ე. ამაშუკელმა (თბილისის მე-3 სკოლა), რომელიც 6 მეტრზე შორს გადახტა.

გამარჯვებულთაგან დაკომპლექტდა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტროს სკოლების საკავშირო სპარტაკიადაში.

**ა. ბარნოვი**

• • •

ადიგენის მოსწავლეთა სპარტაკიადაში გამარჯვებისათვის იბრძოდა 6 საშუალო სკოლის კოლექტივი. პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი და მძლეოსნობა, მაგრამ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების—ფიზკულტურის რაიონული კომიტეტისა და განათლების განყოფილების დაუდევრობის გამო შეხვედრები გაიმართა მხოლოდ კალათბურთსა და მძლეოსნობაში. კალათბურთში გამარჯვებულები გამოვიდნენ სოფელ უდის საშუალო სკოლის სპორტსმენები, ხოლო მძლეოსნობაში ადიგენის საშუალო სკოლის ფიზკულტურელები.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შედეგები აჩვენეს მოსწავლეებმა ლ. ნავრუზოვმა და ნ. არსენაშვილმა. ნავრუზოვმა 100 მეტრზე რბენაში აჩვენა 11,8 წამი.

**ნ. მამულაშვილი**

• • •

დამთავრდა წითელწყაროს რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა და სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან. სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ რაიონის 7 საშუალო და 3 შვიდწლიანი სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის 350 მოსწავლე.

კალათბურთში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის გუნდმა, ქალთა შორის — წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის გუნდმა. ფრენბურთში გამარჯვებულებმა „როლები შეიცვალეს" — ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის გუნდი, ქალთა შორის — რუსული საშუალო სკოლის გუნდი. მძლეოსნობაში უძლიერესი აღმოჩნდა წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი, ხოლო სროლაში — ისევ წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის გუნდი.

სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

შვიდწლიან სკოლებს შორის საერთო პირველი ადგილი წილად ხვდა სოფელ ჯაფარიძის სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს.

**გ. ტოკლიკიშვილი**

# სტუდენტები იძენენ მეცნიერულ ცოდნას

მაისის მიწურულს ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს კონფერენციაზე. დამსწრეებმა ყურადღებით მოისმინეს მესამე კურსის სტუდენტის ჯ. ჯანაშიას მოხსენება — „ლენინი საქართველოს შესახებ". საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე ილაპარაკა ა. ჩუთლაშვილმა. დიდი ინტერესი გამოიწვია მეოთხე კურსის სტუდენტის ა. ვაჩაძის მოხსენებამ რაჭაში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელმა წარმოადგინა შაორის ტბის მიდამოების რუკა და ამ რაიონში ბაკურიანის მსგავსი ბაზის აგების გეგმა.

კონფერენციაზე გაშუქებულ იქნა აგრეთვე ფიზიკური კულტურის სასკოლო გაკვეთილის „სიმკვრივის", ჭიდაობის გაკვეთილის მოსამზადებელი ნაწილის, ბავშვებთან და მოზარდებთან სლალომში მეცადინეობის ჩატარების, გურზებით მიმდევრობითი მცირე წრეების შესრულების ტექნიკისა და შესწავლის მეთოდიკის, ორძელზე ძალისმიერი ელემენტების შესასრულებლად შტანგის აჭიმვის (როგორც დამხმარე საშუალების გამოყენების), ფრენბურთში ბლოკზე წინასწარ გაანგარიშებული დარტყმის, ცურვაში ნაადრევი სპორტული სპეციალიზაციის, ფიზიკური აღზრდის თეორიისა, ანატომიისა და სპორტის ფსიქოლოგიის საკითხები.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს თავის მუშაობაში უკვე დიდი გამოცდილება დაუგროვდა; ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი თემები მრავალჯერ იქნენ პრემირებულნი სტუდენტთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე.

სასურველია, რომ ინსტიტუტის დირექციამ შეარჩიოს სტუდენტთა სამეცნიერო შრომები და გამოსცეს მათი კრებული.

ა. ციბაძე

# შეხვედრები ჩატარდა საინტერესოდ

თბილისის კლასიკურ მოჭიდავეთა პირად-გუნდური პირველობის პირველ ტურში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ „შრომითი რეზერვების", განათლების განყოფილების, „განთიადის", „დინამოს", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „ლოკომოტივისა" და სხვათა სპორტსმენები.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ სპორტსმენები კარგად მომზადებულან აღნიშნული ღონისძიებისათვის, რაზეც მეტყველებს საინტერესო ბრძოლები თითქმის ყველა წყვილის შეხვედრაში. მაღალ დონეზე ჩაატარა პირველობა მსაჯთა კოლეგიამ, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ლ. კაპიტანოვის ხელმძღვანელობით.

შეხვედრები განსაკუთრებით მწვავე და საინტერესო იყო ფინალში. აქ უმჩატეს წონაში სპარტაკელმა რ. ყაზაროვმა მოიგო ყველა შეხვედრა და მოიპოვა პირველი ადგილი. მჩატე წონაში ო. ეგაძემ (განათლების განყოფილება) მიუხედავად იმისა, რომ დამარცხება განიცადა ზ. ნუცუბიძესთან („ბურევესტნიკი") შემდეგში შეძლო ყველა ბრძოლის მოგება და დაიკავა პირველი ადგილი. ქვემსუბუქ წონაში პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ გ. უგრეხელიძე და ა. გოგიჩაიშვილი. ჩოქბჯენში აქტიური ბრძოლის წყალობით უგრეხელიძემ („განთიადი") დაისაკუთრა ქალაქის ჩემპიონის სახელი.

მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ მსუბუქი წონის სპორტის ოსტატების მ. ღუდუშაურისა („ბურევესტნიკის") და გ. მინასიანის (განათლ. განყ.) ფინალურ მატჩს, რადგან ეს სპორტსმენები თითქმის თანაბრად ძლიერნი არიან. კენჭისყრით ჩოქბჯენში პირველად ზემოდან მუშაობდა მინასიანი, რომელმაც შეძლო ორი ქულის მოპოვება, მაგრამ შემდეგში, ადგილების შეცვლისას ღუდუშაურმა არა მარტო შეძლო დაკარგული ქულის ანაზღაურება, არამედ გაიმარჯვა კიდეც.

ოთხ-ოთხი საჯარიმო ქულით დაამთავრეს შეხვედრა ქვესაშუალო წონაში დ. გვანცელაძემ და რ. ტუხულოვმა („შრომითი რეზერვები"), მაგრამ რადგან გვანცელაძეს გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული ამ უკანასკნელთან ჭიდაობის დროს მასვე მიეკუთვნა პირველი ადგილი. საშუალო წონაში ქალაქის ჩემპიონი გახდა შ. სხირტლაძე („განთიადი"). ქვემძიმე წონაში გამარჯვება მიეკუთვნა ა. სიხარულიძეს („შრ. რეზერვები"), მძიმე წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ვ. ბათლიძე („დინამო").

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს „შრომითი რეზერვების" მოჭიდავეებმა, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ განათლების განყოფილებისა და „განთიადის" სპორტსმენები.

ი. ჩხარტიშვილი
სპორტის ოსტატი

# ახალი მსოფლიო რეკორდი

ბუქარესტი. 8 ივნისს ბუქარესტში მიმდინარეობდა მძლეოსნური შეჯიბრება, სადაც შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ცნობილმა რუმინელმა მძლეოსანმა ქალმა იოლანტა ბალაშმა. სიმაღლეზე ხტომაში მან მეორე ცდაზე დაძლია 1 მ 78 სმ. ესაა ახალი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ძველს აღემატება 1 სანტიმეტრით.

# ფეხბურთი

## რევანში შედგა

გასული წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საფეხბურთო მატჩი თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების გუნდებს შორის. ამ კოლექტივების პირველი ამხანაგური მატჩი მაშინ მოიგო რუსთაველის სახელობის თეატრის გუნდმა.

ეს იყო ტრადიციის დასაწყისი. მსახიობებმა გადაწყვიტეს ყოველ წელს შეხვდნენ ერთმანეთს ასეთ მჰანაგურ, მაგრამ უაღრესად პრინციპულ და ოფიციალურ მატჩებში. ასეთი პრინციპული მატჩი შედგა მათ შორის „დინამოს" სტადიონზე 10 ივნისს.







პირდაპირ უნდა ითქვას, რუსთაველის თეატრის ფეხბურთელები საგრძნობლად „დამძიმებულან" შარშანდელი მატჩის შემდეგ. მათი მთავარი ბომბარდირი ქ. ღლონტი ველარ მოქმედებდა ისე აგრესიულად და სწრაფად, როგორც შარშან, ხოლო ე. მანჯგალაძის დრიბლინგის შემდეგ ბურთი უფრო მეტად მოწინააღმდეგეს რჩებოდა, ვიდრე თვით მას ან მის პარტნიორებს.

მარჯანიშვილის თეატრის გუნდის მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მარღანიამ მოთამაშეთა განლაგებაში მიმართა ტაქტიკურ ხერხს, რომელმაც სრული გამართლება ჰპოვა თამაშში: ორივე გარემარბებად გამოიყვანა მსუბუქი, სწრაფი მოთამაშეები, რომლებიც სწრაფად გადიოდნენ მოწინააღმდეგის „რკინაბეტონის" დაცვაში, ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. სწორედ მათ მიერ იქნა გატანილი პირველი ორი გოლი, ხოლო მესამე ბურთი ტაიმის დასასრულს დაუმატა ნახევარმცველმა წიკლაურმა შორი მანძილიდან.

ასე აგებდნენ პირველ ტაიმს რუსთაველელები — —0:3. შესვენების შემდეგ წაგებულები ნამდვილი თავგანწირვით თამაშობდნენ და არ ცილდებოდნენ მეტოქეთა კარს. მარჯანიშვილის თეატრის გუნდის დაცვას სულ უფრო უჭირდა ბრძოლა მოპირდაპირე ფორვარდებთან. დაიღალა თვით „გაუვალი" მცველი გ. თოლორდავაც კი, და მალე გატანილ იქნა პირველი საპასუხო ბურთი: კ. მახარაძემ სავსებით კვალიფიციურად დაარტყა 11-მეტრიანი საჯარიმო და მეკარე ბერიძემ, რომელმაც მანამდე რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, ვერაფერი მოახერხა — 1:3. მცირე ხნის შემდეგ კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში მეორე ბურთი გაგზავნა ქ. ღლონტმა — 2:3. ეს იყო და ეს. რუსთაველის თეატრის ფეხბურთელებმა მეტი ვეღარაფერი შეძლეს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გუნდმა აიღო დამსახურებული რევანში ანგარიშით 3:2.

რ. ქორიძე

• • •

სურათებზე: ზევით — მატჩის წინ გუნდების კაპიტნები ა. ვერულეიშვილი (მარცხნივ) და ნ. ჩხეიძე ესალმებიან ერთმანეთს. შუაში დგას მატჩის მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე. შუაში — აი, ესაა სწორედ ის მომენტი, რომელზეც ეროსი მანჯგალაძე ხშირად ამბობს ხოლმე—„მაგრამ..." როგორც ხედავთ, იგი გავიდა მცველებს შორის, გაცდა მეკარესაც, დაარტყა, მაგრამ... ბურთი აცდა კარს. ქვევით — გულშემატკივრები ღელავდნენ, განსაკუთრებით წაგებულები. ე. აფხაიძემ ორი ტაიმის განმავლობაში 3 კოლოფი „პრიმა" გაათავა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## საქართველოს პირველობა

განვლილი კვირას შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

• • •

### I ზონა

სოხუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი). დაძაბული თამაში დამთავრდა სოხუმელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი ქუთაისში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს". საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

თელავის „სპარტაკმა" თავის მინდორზე მიიღო ქობულეთის „კოლმეურნე". მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

### II ზონა

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ლანჩხუთში ადგილობრივ „კოლმეურნესა" და თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდებს შორის. გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა — 3:2.

კვლავ დიდი ალმავლობით ჩაატარეს შეხვედრა ჭიათურის „მაღაროელის" ფეხბურთელებმა. მათ ამჯერად დაამარცხეს ზუგდიდის „ოდიში" — 3:1.

გაცილებით უკეთესად, ვიდრე წინა მატჩებში, ითამაშა სამტრედიის „ლოკომოტივმა" თავის მინდორზე ქუთაისის „ტორპედოს" წინააღმდეგ. რკინიგზელებმა გაიმარჯვეს — 3:2.

მახარაძეში თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე" და ქ. ფოთის გუნდი. გამარჯვება მოიპოვეს ფოთელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

რუსთავის „სხივი" ბათუმში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს" და განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:2.

• • •

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 12 ივნისისათვის

#### I ზონა

| | თ | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტტს თბ. | 9 | 7 | 1 | 1 | 28:11 | 15 |
| „დინამო" ქუთ. | 10 | 7 | 1 | 2 | 24:14 | 15 |
| „დინამო" სოხ. | 9 | 6 | 2 | 1 | 28:8 | 14 |
| „მეტ". რუსთ. | 9 | 6 | 1 | 2 | 18:8 | 13 |
| ფიზკ. ინსტ-ტი | 10 | 3 | 3 | 4 | 15:13 | 9 |
| „სპარტ". სტ. | 9 | 3 | 1 | 5 | 19:19 | 7 |
| ახ. საფ. სკოლა | 9 | 3 | 1 | 5 | 13:13 | 7 |
| „სპარტ" თელ. | 10 | 3 | 1 | 6 | 15:40 | 7 |
| „განთ". გორი | 9 | 2 | 1 | 6 | 5:18 | 5 |
| „კოლმ". ქობ. | 10 | 0 | 2 | 8 | 4:24 | 2 |

• • •

#### II ზონა

| | თ | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღარ". ჭიათ. | 10 | 5 | 4 | 1 | 18:14 | 14 |
| „დინამო" ბათ. | 10 | 4 | 5 | 1 | 13:8 | 13 |
| „ტორპედო" ქუთ. | 10 | 4 | 4 | 2 | 15:8 | 12 |
| „სხივი" რუსთ. | 10 | 3 | 5 | 2 | 14:8 | 11 |
| „კოლმ". მახ. | 10 | 4 | 3 | 3 | 9:6 | 11 |
| „კოლმ". ლანჩხ. | 10 | 4 | 2 | 4 | 13:13 | 10 |
| ქ. ფოთი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:14 | 9 |
| „ლოკ". სამტრ. | 10 | 3 | 2 | 5 | 13:12 | 8 |
| 26 კომ. რ.ნი თბ. | 10 | 2 | 4 | 4 | 11:15 | 8 |
| „ოდიში" ზუგდ. | 10 | 1 | 2 | 7 | 9:22 | 4 |

# მატჩი ტალინში

ამ დღეებში ტალინში გაიმართა ამხანაგური მატჩი მხატვრულ ტანვარჯიშში ესტონეთისა და საქართველოს დედაქალაქების ნაკრებ გუნდებს შორის.

ამ რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეხვედრები მხატვრულ ტანვარჯიშში კარგ ტრადიციად გადაიქცა. შარშან თბილისელებმა მიიღეს ესტონეთის გუნდი და მოიპოვეს გამარჯვება. გამარჯვება ამჯერადაც თბილისელებს დარჩათ, რომლებმაც დიდი განსხვავებით მოიგეს შეჯიბრება.

ოსტატთა პროგრამით თბილისის გუნდის 3 წარმომადგენელი რ. პენკოვა, დ. შელია და ე. ადაშკოვა გავიდნენ პირველ სამ ადგილზე. მეოთხე ადგილი დაიკავა ესტონელმა ე. ლანდმანმა. პირიქით წარიმართა შეჯიბრება პირველ თანრიგში, სადაც წინ იყვნენ ტალინელები ტ. კარბიკი, მ. კონასტე და ლ. კალდმა. დ. მენაბდემ (თბილისი) დაიკავა მეოთხე ადგილი. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმითაც, რომ ჩვენი ქალაქის გუნდი გარდა გამოცდილი სპორტსმენებისა დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა, ნიჭიერი ტანმოვარჯიშეებით, რომლებსაც ჯერ არა აქვთ საპასუხისმგებლო შეხვედრებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება.

ნ. სალუქვაძე

• • •



სურათზე: თბილისელი რ. პენკოვა ასრულებს ვარჯიშს ბურთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა





კომკავშირისა და ფიზკულტურის რუსთავის საქალაქო კომიტეტების ინიციატივით მოეწყო „მეგობრობის ესტაფეტა“ რუსთავიდან სუმგაითამდე. ამ ღონისძიებაში, რომელიც საკავშირო ალკკ მე-40 წლისთავს მიეძღვნა, ასამდე სპორტსმენი და ახალგაზრდა მუშა იღებდა მონაწილეობას.

სტარტი მძლეოსნებმა აიღეს. მათ ესტაფეტა რუსთავ-ერევნის გზის გასაყრამდე მიიტანეს და გადასცეს ველოსიპედისტებს. მძიმე ეტაპის შემდეგ ველოსიპედისტებმა მე-70 კილომეტრზე ესტაფეტა მოტოციკლისტებს გადასცეს, რომლებმაც იგი ბაქო-სუმგაითის გზის გასაყრამდე მიიტანეს. ამის შემდეგ რბოლაში კვლავ ჩაებნენ ველოსიპედისტები, რომლებიც ავტომანქანებით მოვიდნენ აქ. სუმგაითამდე დარჩენილი 12 კილომეტრის დაფარვა ისევ მძლეოსნებს მოუხდათ.

ფინიშთან პირველი მივიდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომელი მძლეოსანი ე. გვენცაძე.

სურათებზე: მარცხნივ — ესტაფეტა მიაქვთ მოტოციკლისტებს, ველოსიპედისტები შეცვალეს მძლეოსნებმა, სუმგაითელი პიონერები ყვავილებს გადასცემენ ესტაფეტის მონაწილეებს.

ფოტო და ტექსტი
რ. მორჩილაძისა

# გაიმართა 500 შეხვედრა

ამ დღეებში ჩატარდა „განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭოს პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ორი კვირის განმავლობაში ერთეულ, წყვილთა და შერეულ წყვილთა შორის გამარჯვებისათვის იბრძოდა 200 სპორტსმენი, რომელთა შორის 500-მდე შეხვედრა გათამაშდა. მატჩების დაძაბულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 50 პირველთანრიგოსანთა შორის იყვნენ სპორტის ამ სახეობის ვეტერანები, საქართველოს უძლიერესი მაგიდის ჩოგბურთელები რ. მესტიაშვილი, ტ. სანაკოევი, ა. რუსტამბეკოვი, თ. ლოლაძე, რ. გალუსტოვი, რ. თათეოსიანი და სხვები.

განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა შეხვედრები ფინალში, სადაც თავი მოიყარეს 2-2 უძლიერესმა 12 ქვეჯგუფიდან. გამარჯვებულები გამოვლინდნენ მხოლოდ უკანასკნელ მატჩებში. აღსანიშნავია, რომ აქ გამოცდილ სპორტსმენებს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ ახალგაზრდები და ხშირად შეხვედრებს თავიანთ სასარგებლოდ ამთავრებდნენ. ასე პირველთანრიგოსანმა რ. თათეოსიანმა მოულოდნელად წააგო 16 წლის პერსპექტიულ სპორტსმენთან ვ. ჩიჩუასთან — 2:0.

შეჯიბრების შედეგად პირველი ადგილები მოიპოვეს: ქალთა შორის პირველთანრიგოსანმა რ. მესტიაშვილმა, რომელსაც არცერთ შეხვედრაში არ განუცდია დამარცხება, ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა მაუდ-კამვოლის კომბინატის წარმომადგენელი რ. გალუსტოვი. ქალთა წყვილში „განთიადის“ საქალაქო საბჭოს ჩემპიონები გახდნენ რ. მესტიაშვილი და ი. ურკევიჩი, ხოლო ვაჟთა შორის პირველები იყვნენ რ. გალუსტოვი და ა. რუსტამბეკოვი, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში მოუგეს ტ. სანაკოევსა და ს. არაქელოვს — 2:1. შერეულ წყვილთა შეჯიბრება წაუგებლად დაამთავრეს ნ. პლოტნიკოვამ და ტ. სანაკოევმა.

პირველობაზე 16 სპორტსმენმა შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი. 49-მ — მეორე და 73-მა მონაწილემ — მესამე თანრიგის ნორმატივი.

როგორც ცნობილია, მაგიდის ჩოგბურთი შეტანილია საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის პროგრამაში. ამის მიუხედავად დედაქალაქში სპორტსმენებს არ აქვთ ვარჯიშისათვის საჭირო პირობები. მაგიდის ჩოგბურთის საქალაქო და რესპუბლიკურ სექციებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ამ მასობრივ ღონისძიებაზე, რომელმაც ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა, არც ერთი მათი წარმომადგენელი არ დასწრებია.

ბ. კოვალოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

წაიკითხეთ ეს წიგნი

# „ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო ჰიგიენის საკითხები“

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სასკოლო ჰიგიენისა და ფიზიკური აღზრდის სექტორმა გამოსცა კრებული „ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო ჰიგიენის საკითხების“ II წიგნი (თბილისი, 1957 წ., რედაქტორი დოც. ზ. კოვზირიძე).

კრებული იხსნება ა. ციბაძის წერილით „ვ. ი. ლენინი ფიზიკური აღზრდის შესახებ“, საიდანაც მკითხველი გაიგებს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბელადი ფიზიკური აღზრდის საკითხებს, რომელიც მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს გონებრივ განვითარებას. ის ფიზიკურ აღზრდას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნევდა და განიხილავდა მას, როგორც კომუნისტური აღზრდის ორგანულ ნაწილს. მკითხველი შეიტყობს, რომ ლენინი თვითონ ვარჯიშობდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ციგურები, ტურიზმი, ალპინიზმი, ტანვარჯიში, ველოსპორტი, ცურვა, ნადირობა, ჭადრაკი და სხვ.). აქვე მოთხრობილია 1921 წლის 28 სექტემბრის ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტის შესახებ, რომლის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების კომისარიატებს ევალებოდათ ბავშვთა ფიზიკურ კულტურაში მასობრივად მიზიდვა.

ქართული სპორტის ისტორიას ეხება ზ. შერეზედაშვილის „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში XIX საუკუნის 60-70-იანი წლების სასკოლო რეფორმების საკითხში“. ავტორს დიდი და ნაყოფიერი შრომა გაუწევია და მდიდარი საარქივო მასალებით გაუშუქებია წარმოდგენილი მასალა.

ფიზიკური აღზრდის ისტორიის საინტერესო საკითხისადმია მიძღვნილი აგრეთვე მ. გორგაძის „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს“.

დოც. გ. ნიკოლეიშვილის შრომის — „ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთიანობის პრინციპი ი. პ. პავლოვის მოძღვრებაში, როგორც გამოსავალი დებულება ფიზიკური აღზრდის სწორად აგებისათვის“ — გარდა, ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის საკითხს ეხება პროფ. ვ. ნორაკიძის შრომა „სპორტის ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემები“. საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ყოველმხრივ ჩამოყალიბების საქმეში.

კრებულში დავიწყებული არაა მეთოდიკის საკითხებიც, რომლებისადმი მიძღვნილია დოც. ვ. ელაშვილის „სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი“ და ა. რატიას „სკოლაში სამწყობრო ვარჯიშების სწავლების მეთოდიკის ზოგიერთი საკითხები“.

„ბავშვთა ფიზიკური აღზრდა ოჯახში და სკოლის ამოცანები“ — ასე ეწოდება ნაშრომს, რომლის ავტორია გ. ჯაფარიძე. აქ მოთხრობილია მოზარდის ორგანიზმის გამკაცებელ იმ ვარჯიშთა თუ სხვა სახის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მშობელმა უნდა შეასრულებინოს ბავშვს ოჯახში. ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, რომ დილის ტანვარჯიშში ბავშვები ჩაბმულ იქნან 4 წლის ასაკიდან.

დოც. ზ. კოვზირიძე მკითხველს აცნობს მის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ მასალებს საშინაო დავალების ჰიგიენური ორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

საინტერესოა მასწავლებელ ა. ტურიაშვილის მიერ I-II კლასელ მოსწავლეებთან წარმოებული მუშაობის გამოცდილება, რომელიც განზოგადებულია წერილში „როგორ ვნერგავ სანიტარულ-ჰიგიენურ ჩვევებს I-II კლასის მოსწავლეებში ახსნითი კითხვის გაკვეთილებზე“. ყურადღებას იპყრობს თ. მიქაბერიძის წერილი „სკოლაში მოსწავლეთა ნაადრევი დაღლისაგან აცილების ზოგიერთი ღონისძიება“.

გვაქვს ორიოდე შენიშვნა: კრებულში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სტილისტური ხასიათის შეცდომები. მეთოდიკის საკითხები უფრო უხვად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ვ. კახაძე

14 ივნისს



14 ივნისს

თბილისი, დიღმის იპოდრომი
საქართველოს 1958 წლის პირველობა
ცხენოსნობაში
(კლასიკური სახეობანი)
შეჯიბრების მთავარი მსაჯი ი. კიზირია

## წერილების კვალდაკვალ

„ჩვენს ინსტიტუტს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფეხბურთის სექცია იდგეს მოწოდების სიმაღლეზე. საამისოდ შეძენილია ბურთები, ბუცები და სხვა საჭირო ინვენტარი, მაგრამ ყველაფერი ჩაკეტილია და გამოუყენებელი რჩება“, — გვწერდნენ ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები.

ინსტიტუტის დირექცია გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სექციის მუშაობას ძირითადად ხელს უშლიდა მოედნის უქონლობა. მომავალი სასწავლო წლიდან სტუდენტთა განკარგულებაში იქნება კეთილმოწყობილი ფეხბურთის მოედანი.

სპორტული ცხოვრება ქალაქებსა და რაიონებში

## ქობულეთი

24-25 მაისს ქობულეთში ჩატარდა სარაიონო პირველობა კალათბურთში, პირველი ადგილი დაიკავა ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლის კალათბურთელთა გუნდმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთის 1-ლი საშუალო სკოლიდან ქალთა გუნდი მონაწილეობას არ იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის საშუალება ჰქონდა, ხოლო ამავე სკოლის ვაჟთა გუნდი ერთი წაგების შემდეგ შეჯიბრებაზე აღარ გამოცხადებულა.

ო. ლეჟავა

## ჩოხატაური

ორი წელია, რაც ჩოხატაურის ახალგაზრდობამ დაიწყო ხელბურთის თამაში. სპორტის ამ სახეობის მასობრივად დანერგვისათვის განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა მიმდინარე წელს. აპრილში ჩატარდა სპორტული საზოგადოებების პირველობის პირველი ტური, ხოლო ამ დღეებში დამთავრდა რაიონული პირველობის გათამაშების პირველი ტური.

გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო შუაგანახლებისა და ფარცხმის კოლმეურნეობათა და განახლებისა და ჩოხატაურის საშუალო სკოლის გუნდებმა. პირველ ადგილზე გამოვიდნენ ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის ხელბურთელები.

აღსანიშნავია, რომ გათამაშებაში გაურკვეველი მიზეზებით მონაწილეობა არ მიუღიათ რაიონის ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორიცაა გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ჩოხატაურის მეორე საშუალო სკოლისა და გოგოლესუბნის კოლმეურნეობის გუნდები.

გ. ახალაია

## გურჯაანი

აქ ჩატარდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდა 30 სპორტსმენი.

შეჯიბრებაში კარგი მომზადება აჩვენეს ბ. გაბიტაშვილმა, ი. ქურთიაშვილმა, ვ. სეფიაშვილმა, ლ. აფთარაშვილმა, ქ. ხარაბაძემ და სხვებმა.

ი. ოდიშელიძე

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 8 89 62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8 90-34, მორიგესა და გამომშვებს — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02488